

ნო და კიოგენი

მსოფლიოს უძველესი მოქმედი თეატრი



ნოს სპექტაკლი

ჰიროტა იუკიტომის სცენა *ნოს* დრამაში, *კაგეცუ* (მთვარე და ყვავილები). დადგმული იყო *ნოს* 49-ე ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. (*ნო-გაკუს* მსახიობთა ასოციაციის ფოტოებიდან).

ნო და *კიოგენი* იაპონური კლასიკური თეატრის ოთხი ჟანრის ორი სახეობაა, ხოლო ორი დანარჩენი - *კაბუკი* და *ბუნრაკუ* - შესულია UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში (2001 წ.). *ნო*, რომელიც მისი არსის ფართო გაგებით კომიკური ჟანრის თეატრ კიოგენსაც მოიცავს, ცალკეულ თეატრალურ ჟანრად XIV საუკუნეში ჩამოყალიბდა, რაც მას მსოფლიოში შემორჩენილ უძველეს პროფესიონალურ თეატრად წარმოგვიჩენს. მიუხედავად იმისა, რომ *ნო* და *კიოგენი* ერთდროულად განვითარდნენ და განუყოფელი არიან, მათ შორის მაინც ბევრია სხვაობა. *ნო* ფუნდამენტურად სიმბოლური თეატრია, რომლის პირველადი დანიშნულება რიტუალთანაა დაკავშირებული და მსუბუქ ესთეტიკურ ატმოსფეროში გადაჰყავს მაყურებელი. *კიოგენის* პირველად დანიშნულებას კი მაყურებლის გაცინება წარმოადგენს.

ნო თეატრის ისტორია

XIV საუკუნეში სხვადასხვა მრავალსაუკუნოვანი თეატრალური ტრადიციების მქონე სამსახიობო დასები მოგზაურობდნენ და მართავდნენ წარმოდგენებს სხვადასხვა ტაძრებში და

სალოცავებში ან მაღალი წრის მეურვეობით გამართულ ფესტივალებზე გამოდიოდნენ. ამ ტრადიციებს მიეკუთვნებოდა *სარუგაკუდ* წოდებული საშემსრულებლო ჟანრიც. შესანიშნავმა დრამატურგებმა და მსახიობებმა, კან'ამიმ (1333 -1384 წწ.) და მისმა ვაჟმა ძეამიმ (1363 – 1443 წწ.), *სარუგაკუ ნოდ* გარდაქმნეს და ისეთი ჟანრობრივი სახე მისცეს მას, როგორც დღესდღეობით გააჩნია. კუნ'ამიმ შეიტანა სწორედ პოპულარული გასართობი წარმოდგენის *კუსე-მაის* მუსიკისა და ცეკვის ელემენტები *სარუგაკუში* და ამით მურომაჩის *შიოგუნ* აზიკაგა იოშიმიცუს (1358 – 1408 წწ.) ყურადღება და მეურვეობა დაიმსახურა.

კან'ამის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი, ძეამი, გახდა კანძეს დასის ხელმძღვანელი. იოშიმიცუს მეურვეობის გაგრძელებამ მას საშუალება მისცა შემდგომში კიდევ უფრო დაეხვეწა *ნოს* ესთეტიური საფუძვლები *მონომანესა* (იმიტაციის ხელოვნება) და *იუგენი* - ძენის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ესთეტიური იდეალით, რომელიც ძირითადად ეხებოდა მისტერიისა და სიღრმის შესახებ ქარაგმებს.

ნოს რეპერტუარში შესული, საყოველთაოდ აღიარებული რამდენიმე თეატრალური პიესის გარდა, ძეამიმ ესეების სერია მიუძღვნა იმ სტანდარტებს, რომლებიც მისი მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბდა და რომელთა მიხედვითაც *ნოს* წარმოდგენები მომდევნო საუკუნეების განმავლობაში იმართებოდა.

მურომაჩი შიოგუნატის დაცემის შემდეგ, *ნოს* დიდ მეურვეობას უწევდა სამხედრო ლიდერი - ტოიოტომი ჰიდეიოში. XVI საუკუნეში კი *ნო* ტოკუგავას შიოგუნატის „ოფიციალური საკუთრება“ გახდა. ამ წლებში *ნოს* წარმოდგენები შედარებით ნელი და უფრო სერიოზული გახდა, ვიდრე ძეამის ეპოქაში.

შიოგუნატის მმართველობის დასრულების შემდეგ, მეიჯის მმართველობის პერიოდში (1868 – 1912 წწ.) *ნო* უმეკავა მინორუ I-ის (1828 – 1909 წწ.) მსგავს შემსრულებელთა და მმართველი წრეების მეურვეობის წყალობით გადარჩა. მეიჯის პერიოდში (1868-1912 წწ.) *ნოს* არსებობა მთლიანად მსახიობთა ერთგულებასა და კეთილშობილთა მეურვეობაზე იყო დამოკიდებული. აქ უნდა გავიხსენოთ უმეკავა მინორუ I-ის (1828-1909 წწ.) დამსახურება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ თეატრის შენარჩუნებაზე ძირითადად ზრუნავდა მაყურებელი. *ნო*ზე დღესაც ზრუნავს თეატრის მაყურებელთა მცირე, მაგრამ ერთგული ჯგუფი და თავყანისმცემელთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც იხდიან *ნოს* სიმღერებისა და ცეკვების ტექნიკის შესასწავლად შესაბამის თანხას. ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება *ნოს* თეატრალური წარმოდგენები, რომელიც ღამით, ღია ცის ქვეშ, კოცონის (*ტაკიგინო*) ფონზე და შუქზე იმართება. ბევრი ასეთი წარმოდგენა იდგმება ზაფხულობით ბუდისტურ ტაძრებში, შინტოს სალოცავებსა და საზოგადოებრივ პარკებში.

ნოს საშემსრულებლო ელემენტები

სცენა



ნოს სცენა
(ნოს

ეროვნული თეატრის ფოტოებიდან)

ნოს სცენა, რომელიც თავისთავად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, თავიდან ღია ცის ქვეშ მდებარეობდა, ამჟამად მასთან შედარებით დიდი შენობის შიგნით არის განთავსებული. სცენის ძირითადი ნაწილი, რომლის ფართობი 36 მ²-ს მოიცავს, გალავნილი იაპონური კვიპაროსისგანაა (ჰინოკი) დამზადებული და გადახურულია შესანიშნავი შინტოს სტილის სახურავით, ხოლო კულისები სცენას ხიდისმაგვარი ღია დერეფნით (ჰაშიგაკარი) უერთდება. სცენის უკან და მარჯვნივ სხედან მუსიკოსები და გუნდი. სცენის უკანა კედელზე დახატული ფიჭვის ხე ერთადერთი თეატრალური დეკორაციაა და ყველა წარმოდგენაში

გამოიყენება. წარმოდგენაში შემსრულებელთა სიტყვები და გუნდის სიმღერა განსაზღვრავს გარემოს.

სცენის უკან სამი ან ოთხი მუსიკოსი (ჰაიაშიკატა) ზის ხოლმე და უკრავენ ფლეიტაზე, ხელის პატარა დოლზე (კოცუძუმი) და ხელის დიდ დოლზე (ოცუძუმი) და თუ სცენარი მოითხოვს იყენებენ თავად იაპონიაში და საზღვარგარეთაც. ბევრ ადამიანს, ვისაც მცირე ინფორმაცია გააჩნია ან კარგად არ იცნობს ნოს თეატრს, ოდესმე მაინც ჰქონია მასთან შეხება მისი საყოველთაოდ ცნობილი ნიღბების ნახვით, რომელიც ხშირად არის გამოფენილი მუზეუმებსა და საგანგებო გამოფენებზე. ბევრი ნიღბის ვარიაციები განზოგადდა და რამდენიმე მთავარი გმირისთვის საერთო ნიღბად იქცა, როგორცაა ახალგაზრდა ქალის, მოხუცი კაცისა და დემონის ნიღბები. თავად ნიღბებს შორისაც, ზოგიერთი მათგანის ერთი და იგივე როლში გამოყენებისას, მნიშვნელობა აქვს თუ რომელი წოდებისა და ტიტულის მატარებელია მოქმედი გმირი ანუ კურაი, რაც განსაზღვრავს როლის შესრულებისა და მთელი დადგმის ხასიათს. ერთი ნიღბით შეიძლება გამოხატულ იქნას სიხარულიც და სევდაც იმ შუქ-ჩრდილების ცვლილებებით, რომელიც ნიღბს ეცემა სცენაზე მსახიობის გამოსვლისას.

საერთოდ, ნიღბი მხოლოდ მთავარ მოქმედ გმირებს (შიტე) უკეთიათ, თუმცა ზოგიერთ წარმოდგენაში მისი თანმხლები გმირებიც (ცურე) იყენებენ. მეორეხარისხოვან მოქმედ გმირებს (კაკი), მეორეხარისხოვან თანმხლებ გმირებს (კაკიცურე) და ბავშვ მოქმედ გმირებს (კოკატა) ნიღბები არ უკეთიათ.

ნიღბების გარდა, ნოს თეატრი მკაფიო მოხატულობის ექსტრავაგანტული კოსტიუმებითაა ცნობილი, რაც დიდ კონტრასტს ქმნის სცენის მწირი დეკორაციისა და მსახიობების

შეზღუდული მოძრაობების ფონზე. ქსოვილის ხუთი ფენისგან და მდიდრული მოსაცმელისგან შემდგარი *შიტეს* კოსტიუმი სცენაზე შთამბეჭდავ სახეს ქმნის, რომლის ეფექტი ზოგჯერ ელვარე და კაშკაშა თეთრი ან წითელი პარიკითაა გაძლიერებული.

შიტეს და *ვაკის* მიმიკური და ხმოვანი შესრულება ზოგჯერ ხაზგასმულია მრავალფეროვანი დამატებითი აქსესუარებით, რომელთა შორის უმთავრესია დასაკეცი მარაო (*ჩიუკეი*), რომელშიც ზოგჯერ შეიძლება სხვადასხვა საგნები იგულისხმებოდეს, მაგ.: ხანჯალი, დიდი კოვზი ანდა სულაც მოძრაობა, როგორცაა თავის დაკვრა ან ბუნებრივი მოვლენა - მთვარის გამოჩენა და ა.შ.

ნოს პროგრამა და შესრულება

ტრადიციული *ნოს* პროგრამა შედგებოდა ხუთი სპექტაკლისგან, მასში გაბნეული სამი ან ოთხი *კიოგენ* სცენით. თანამედროვე პროგრამა კი შედგება ორი-სამი დამოუკიდებელი სპექტაკლისგან მასში გაბნეული ერთი ან ორი *კიოგენ* სცენით. სპექტაკლიც და ცალკეული სცენაც ორივე დაფუძნებულია დრამატული შესრულების მოდელ *ჯო-ჰა-კიუზე* (შესავალი - ძირითადი ნაწილი - სწრაფი ფინალი). ჩვეულებრივ, სცენა შედგება ერთი *ჯო* ნაწილისგან, სამი *ჰა* ნაწილისგან და ერთი *კიუ* ნაწილისგან.

ნოს რეპერტუარი ძირითადად ოკინაზეა დაფუძნებული, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სრულდება და ის უფრო რელიგიურ-რიტუალური ცეკვაა, ვიდრე თეატრალური დადგმა. ასეთი დაახლოებით 240 დადგმაა შემორჩენილი, რამაც სხვადასხვა ჯგუფებში კლასიფიცირება განიცადა. პირველ ჯგუფში შევიდა ე. წ. საღმრთო დადგმები (*ვაკი ნო*), რომელშიც *შიტე* პირველი ადამიანია და შემდეგ ღმერთად იქცევა. ეს დადგმები, რომლებიც *ნოს* სტანდარტებთან შედარებითაც კი ძალიან ნელი მოძრაობებით გამოირჩევა, დღესდღეობით ძალზე იშვიათად იმართება. მეორე ჯგუფში შედის საომარი დადგმები (*შიურა-მონო*), რომელთა უმეტესობაში ტაირა-მინამოტოს ომში გარდაცვლილი მეომარი დამარცხებული მხრიდან ბუდისტ ბერთან ერთად ლოცულობს საკუთარი სულის გადასარჩენად. დადგმები პარიკებით (*კაძურა-მონო*) მესამე ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც ძირითადად ეხება ჰეიანის პერიოდის (794 – 1185 წწ.) ახალგზრდა, ლამაზ ქალს, რომელიც სიყვარულითაა შეპყრობილი. მეოთხე ჯგუფი ყველაზე დიდსა და *ძაცუ ნოს* (შერეული *ნო*) მოიცავს, რადგან მასში სხვადასხვა თემატიკის დადგმები შედის. მეხუთე და ბოლო ჯგუფი დემონის (*კირი ნო*) დადგმებს მოიცავს. ამ სპექტაკლებში სხვა თეატრალურ წარმოდგენებთან შედარებით საგრძნობლად არის აჩქარებული მოძრაობები და *შიტე* დადგმის პირველ ნახევარში ადამიანად გვევლინება, ხოლო მეორე ნაწილში აჩენს თავის ნამდვილ სახეს.

ნოს დადგმა: აოი ნო უე

წარმოდგენა სახელად *აოი ნო უე* („ქალბატონი აოი“), ყველაზე ხშირად იდგმება *ნოს* რეპერტუარიდან. სცენარის ავტორი უცნობია. ის ძეამიმ ალადგინა და საფუძვლად უდევს მურასაკი შიკიბუს XI საუკუნით დათარიღებული „გენჯის ამბავის“ მოვლენები.

წარმოდგენის დასაწყისში, სამეფო კარის მოხელე (*ვაკიცურე*) ოფიციალურად აცხადებს, რომ ქალბატონი აოი, მისი უკეთილშობილება გენჯის ფეხმძიმე მეუღლე ავად არის და გამოიძახებენ გრძნეულ ტერუჰის, რათა დაადგინოს თუ რომელი სული დაეუფლა მას. სცენის წინ დაგრაგნილ ქალის მანტიას დებენ, რომელიც ქალბატონ აოის განასახიერებს. გრძნეული იძახებს სულს, რომელიც ქალბატონ აოის დაეუფლა.

სული (*შიტე*) უახლოვდება მას. *შიტეს* უკეთია დაიგანის ნიღაბი, რომელსაც შურისმაძიებელი ქალი სულების გამოსახატავად ატარებდნენ. ეს ქალბატონი როკუჯიოს, გენჯის მიერ უგულვებელყოფილი საყვარლის სულია. მონოლოგის თხრობით და გუნდის თანხლებით ქალბატონი როკუჯიო ყვება თუ რაოდენ ეფემერულია ამქვეყნიური ბედნიერება და რაოდენ დიდია მისი სიძულვილი ბრწყინვალე გენჯის ცოლის, ქალბატონი აოის მიმართ. ქალბატონმა როკუჯიომ დამცირებულად იგრძნო თავი, როცა არც ისე დიდი ხნის წინ, ფესტივალზე, მისი ეტლი ქალბატონი აოის ეტლმა გადააბრუნა.

ქალბატონი როკუჯიოს სული წინ გამოდის სცენაზე და უახლოვდება ქალბატონ აოის, მარაოს მოუქნევს, დაემუქრება და ისევ იქ დაბრუნდება, სადაც იდგა. შემდეგ *შიტე* იხსნის დეიგანის ნიღაბს და იკეთებს ქალი დემონის *ჰანნას* ნიღაბს.

კეთილშობილი გენჯის კარი იხმობს მთაში განმარტოებულ ბუდისტ ასკეტს (*ვაკი*), რათა განდევნოს სული.

სულის განდევნის რიტუალი როდესაც იწყება, *შიტე* სცენის ცენტრში ბრუნდება. მას დემონის ნიღაბი უკეთია და დემონის კვერთხი უჭირავს. ის ებრძვის ასკეტ ბერს და მათი ბრძოლა ბერის გამარჯვებით სრულდება, რაც ეწინააღმდეგება ნოველის დასასრულს, სადაც ქალბატონი აოი იღუპება მას შემდეგ, რაც შობს გენჯის ვაჟს.

კიოგენის ისტორია

ფიქრობენ, რომ კიოგენს თავდაპირველად ჰქონდა გასართობი დანიშნულება და ის ჩინეთიდან შეიტანეს იაპონიაში VIII საუკუნეში და უფრო ადრეც. ეს გასართობი წარმოდგენა შემდგომი საუკუნეების განმავლობაში სარუგაკუს შემადგენლობაში შედიოდა. XIV საუკუნის პირველ ხანებში უკვე მკაფიო სხვაობა შეინიშნებოდა სარუგაკუს შემსრულებლებსა და *ნოს* შემსრულებლებს შორის. როგორც *ნოს* შემადგენელმა ნაწილმა, *კიოგენმა* მოიპოვა სამხედრო

არისტოკრატიული წრეების მეურვეობა მეიჯის მმართველობის აღდგენამდე (1868 წ.). მას შემდეგ *კიოგენი* ცოცხლობდა ოჯახური სამსახიობო ჯგუფების წყალობით, პირველ რიგში ეს უნდა ითქვას იძუმისა და ოკურას სკოლის შესახებ. დღეს *კიოგენის* პროფესიონალი შემსრულებლები მართავენ წარმოდგენებს როგორც დამოუკიდებლად, ისე *ნოს* პროგრამებთან ერთად.

სპექტაკლები და პიესები



კიოგენის წარმოდგენა
 ოკურა იატარუ ბომიბარის როლში (თოვით შეკრული) მსოფლიოს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაში შესულ *ნო* დრამის მე-5 წარმოდგენაზე (ფოტო მოწოდებულია „ნოგაკუს შემსრულებელთა ასოციაციის“ მიერ)

კიოგენი კომიკური ჟანრის დამოუკიდებელ დადგმებს ეწოდება, რომელიც ორ *ნოს* სპექტაკლს შორის იმართება. მაგრამ ეს ტერმინი აგრეთვე იხმარებოდა როლის აღსანიშნავად, რომელსაც იღებდნენ *კიოგენის* შემსრულებლები *ნოს* სპექტაკლში (*აიკიოგენ*). *ნოში* არსებული *კიოგენის* როლები თავად სპექტაკლის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ *კიოგენისთვის* უფრო ბუნებრივი დანიშნულებაა შეავსოს დროის ინტერვალი პირველსა და მეორე მოქმედებას შორის. ბოლო დროს *კიოგენის* შემსრულებლები მართო გამოდიან სცენაზე და ყვებიან რაიმე ამბავს დიალექტზე ან სასაუბრო ენაზე. *კიოგენი ნოს შიტეს* აძლევდა იმის საშუალებას, რომ გამოეცვალა კოსტიუმი და

აღრე ფეოდალურ ეპოქაში გაუნათლებელ აუდიტორიას უადვილებდა სპექტაკლის აღქმას.

თანამედროვე *კიოგენის* რეპერტუარში 240-მდე დამოუკიდებელი სპექტაკლია. ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით ისინი იყოფიან შემდეგ ჯგუფებად: *ვაკი კიოგენ* (ხელშემწეობი სპექტაკლები), *დაიმიო* (ფეოდალური, დიდებულთა სპექტაკლები), *ტარო-კაჯია* (ტარო-კაჯია მსახურის სახელია, რომელიც მთავარი მოქმედი გმირია სპექტაკლში), *მუკო* (სიმე), *ონნა* (ქალი), *იამაბუში* (მთის ბერი-ასკეტები), *შიუკუკე* (ბუდისტი მღვდელი), *ონი* (დემონი), *მატო* (ბრმა კაცი), *მაი* (ცეკვა) და სხვადასხვა *მატო* (შერეული სახის სპექტაკლები). შერეული სახის ჯგუფის გარდა *კიოგენის* კატეგორიების უდიდესი ნაწილი ტარო-კაჯიას ემდგნება. ტარო-კაჯიას გმირი კეთილი და გამჭრიახი უბრალო ადამიანია, რომელიც არასდროს გაურბის მსახურის ბედს და ცდილობს ცოტა უფრო მხიარული გახადოს მისი და მისი ბატონის ცხოვრება.

კიოგენის სასცენო კოსტიუმები გაცილებით უფრო მარტივია *ნოს* კოსტიუმებთან შედარებით და ეყრდნობა შუა საუკუნეების იაპონიის ტანისამოსის სტილს. *კიოგენის* შემსრულებელთა უმეტესობა არ ატარებს ნიღაბს, თუმცა 50-ზე მეტ სპექტაკლში გამოიყენება ნიღბები, ძირითადად ღმერთის, სულებისა და ცხოველების როლების შესასრულებლად. *ნოს* შემსრულებელთა ექსპერესიის უქონლობასთან კონტრასტში, იმის მიუხედავად უკეთიათ თუ

არა მათ ნილაბი, კიოგენის შემსრულებლები სახის მრავალფეროვან გამომეტყველებაზე არიან დამოკიდებულნი კომიკური ეფექტის მისაღებად.



*ნოს და კიოგენის ნიღბები (ნოს ეროვნული თეატრის ფოტოებიდან)
(მარცხნივ) ნოს კო-ომოტეს ნიღბი ახალგაზრდა ქალების როლის
შესასრულებლად. (მარჯვნივ) კიოგენის მაიმუნის ნიღბი.*